ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 138

ქალაქი ქუთაისი 30 იანვარი 2019 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ქალაქ ქუთაისში, ა.წერეთლის ქუჩა სააქციო საზოგადოება „ლითოფონის ქარხნის საზღვრებში“ (ნაკვეთი №1) / ქალაქ ქუთაისში, ა.წერეთლის ქუჩა სააქციო საზოგადოება „ლითოფონის ქარხნის საზღვრებში“ (ნაკვეთი №2) / ქალაქ ქუთაისში, ა. წერეთლის ქუჩა სააქციო საზოგადოება „ლითოფონის ქარხნის საზღვრებში“ (ნაკვეთი №3) / ქალაქ ქუთაისში, ა.წერეთლის ქუჩა №192 (ნაკვეთი №2-2)-ში მდებარე არასასოფლო – სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი) სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ საკუთრებაშიგადაცემის შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტის, 108-ე მუხლის პირველი პუნქტისა და სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 15.01.2019 წლის №5/2128 მომართვის შესაბამისად:

მუხლი 1. გადაეცეს სახელმწიფოს უსასყიდლოდ საკუთრებაში, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, კერძოდ: ქალაქ ქუთაისში, ა.წერეთლის ქუჩა სააქციო საზოგადოება „ლითოფონის ქარხნის საზღვრებში“ (ნაკვეთი №1) / ქალაქ ქუთაისში, ა.წერეთლის ქუჩა სააქციო საზოგადოება „ლითოფონის ქარხნის საზღვრებში“ (ნაკვეთი №2) / ქალაქ ქუთაისში, ა.წერეთლის ქუჩა სააქციო საზოგადოება „ლითოფონის ქარხნის საზღვრებში“ (ნაკვეთი №3) / ქალაქ ქუთაისში, ა.წერეთლის ქუჩა №192 (ნაკვეთი №2-2)-ში მდებარე არასასოფლო – სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი №03.06.21.439; ფართობი – 4374,0 კვ.მ.), შემდგომში სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – გარემოს დაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტისთვის სარგებლობის უფლებით გადაცემის მიზნით.

მუხლი 2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 4. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე ნიკოლოზ ლატარია